საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

განკარგულება №16/2023

თვითმმართველი თემების - თერჯოლისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისი 2023 წლის 20 თებერვალი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 ოქტომბრის №გ-29. 2922291001 განკარგულების შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის - ლაშა გოგიაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ნოემბრის №20 სხდომის ოქმის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის - გიორგი ნემსაძის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 169[2] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 56-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. თვითმმართველი თემების თერჯოლისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების **მერების რიგგარეშე არჩევნები გაიმართოს 2023 წლის 29 აპრილს.**

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილი**

კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**